პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტური განათლება

18 ნოემბერი, 1937 წ. № 107 (407) ფასი 10 კაპ.

სსსრ განათლების სახალხო კომისარიატის, თბილისის განათლების განყოფილების, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და უმაღლესი სკოლებისა და სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ორგანო

ზრუნვა კულტურასა და მის კადრებზე

„პრავდა“ 12 ნოემბერი

დღეს ქვეყნდება სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება—„უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისათვის საშტატო თანამდებობებისა და საშტატო ხელფასებისა და უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების სტიპენდიების გადიდების შესახებ“. ეს დოკუმენტები დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობისაა. ისინი ნათლად ადასტურებენ იმ დაუღალავ მზრუნველობას, რომელსაც იჩენენ ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა მთავრობა კულტურისა და მისი კადრების მიმართ.

ჩვენი უმაღლესი სკოლა, მისი პროფესორ-მასწავლებელთა კადრები და სტუდენტური მასა ამ დადგენილებას უდიდესი სიხარულით შეხვდებიან. უმაღლეს სასწავლებლების მასწავლებელთა პერსონალისათვის საშტატო თანამდებობათა და საშტატო ხელფასების დაწესება მიზნად ისახავს უმაღლესი სკოლის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას და მის მუშაკთა მატერიალური უზრუნველყოფის ზრდას. სტუდენტთა სტიპენდიების გადიდება საგრძნობლად აუმჯობესებს უმაღლესი სკოლის მოსწავლეთა,—სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგისათვის მომავალ მაღალკვალიფიციურ მუშაკთა, მატერიალურ კეთილდღეობას.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 20 წლის მანძილზე უმაღლესი სკოლა გიგანტურად გაიზარდა. 1914 წელთან შედარებით უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი 91-დან გაიზარდა 700-მდე 1936 წ., ე. ი. 7,7-ჯერ. უმაღლეს სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვი 1914 წ. უდრიდა 112—ათასს, 1928-29 წ.—177—ათასს. ხოლო 1936-37 წელს უდრის 542—ათასს. სტალინურ ხუთწლედებში სამჯერ გაიზარდა ჩვენს ქვეყანაში სტუდენტთა რაოდენობა.

როგორი განსაცვიფრებელი კონტრასტია კაპიტალის ქვეყნებთან შედარებით! გამწვავებული სამეურნეო კრიზისის გამო ბურჟუაზიულ ქვეყნებში უკანასკნელი 7-8 წლის განმავლობაში მეტად შემცირდა უმაღლესი სასწავლებლების ქსელი და მოსწავლეთა რაოდენობა. განსაკუთრებით ეცემა უმაღლესი განათლება ფაშისტური ბნელეთით მოცულ ქვეყნებში: ფაშისტურ გერმანიაში, მაგალითად, 1932 წ. სტუდენტთა რაოდენობა 145—ათასიდან 1935-36 წლის შემცირდა 76—ათასამდე.

სტალინური კონსტიტუცია უზრუნველყოფს სსრკ ყველა მოქალაქის უფლებას განათლებაზე. სწავლება ყველა ტიპის სკოლაში ჩვენთან უფასოა. კიდევ მეტი: სოციალისტური სახელმწიფო უნიშნავს სტუდენტებს სტიპენდიებს, რაც სრულ შესაძლებლობას აძლევს მათ დაეუფლონ მეცნიერებას. სხვა დანარჩენ ქვეყნებში, გარდა საბჭოთა კავშირისა, უმაღლესი სწავლა შეძლებული კლასების პრივილეგიაა. მუშებისა და გლეხებისათვის მაგრადაა დაკეტილი უმაღლესი სკოლის კარები. სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს სწავლის ფული. გერმანიაში, მაგალითად, სტუდენტ-მედიკის სწავლის ხარჯები შეადგენს 5 ½ წლის განმავლობაში 4 ათას მარკას. სტუდენტთა მხოლოდ მეათედი ნაწილი ღებულობს სხვადასხვა კერძო ქველმოქმედთაგან „სტიპენდიას“. სინამდვილეში ეს არის უმნიშვნელო მოწყალება, რომელიც უდრის ნახევარ წელიწადში საშუალოდ 70 მარკას, ე. ი. 12 მარკაზე ნაკლებს თვეში!

უმაღლესი სკოლის დამთავრების შემდეგ ჩვენი სოციალისტური სამშობლო განუსაზღვრელ სარბიელს შლის ინჟინერის, პედაგოგის, ექიმისა და მეცნიერ-მუშაკის წინაშე მათი შემოქმედებისა და მხიარული შრომისათვის. სამუდამოდ მოსპობილია უმუშევრობის წყლული. შრომის უფლება უზრუნველყოფილია თითოეულისათვის, იმის მიუხედავად, მუშაობს ის ფიზიკურად თუ გონებრივად. სულ სხვა სურათია კაპიტალის ქვეყნებში, სადაც გამწვავებული კრიზისის წლებმა ასიათასობით მიიყვანა გონებრივი შრომის მუშაკნი მათხოვრობამდე და აუტანელ ტანჯვამდე.

„ინტელიგენციის სიჭარბე“ განსაცვიფრებელ მოდის სენად გადაიქცა. ინჟინრები ოფიციანტებად, მხატვრები ქუჩის დამგველებად, პროფესორები მათხოვრებად, მსოფლიო მეცნიერები სულს ლევენ მათხოვრობასა და გაჭირვებაში—ნუთუ ყოველივე ეს საბედისწერო საყოფაცხოვრებო მოვლენა არ გახდა კაპიტალის მდიდარ ქვეყნებში? ლაპარაკიც კი ზედმეტია იმ ფაშისტურ ქვეყნების შესახებ, სადაც კულტურის აღმოფხვრა შეადგენს ბნელეთის მოციქულთა ოფიციალური პროგრამის ერთერთ მუხლს, რომელიც ტარდება ცხოვრებაში ტერორის სისხლიანი მეთოდებით და ძალადობით ყველა პატიოსან და მოაზროვნეთა მიმართ.

საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვებებმა, რომლებიც მოპოვებულია ხალხის ყველა მტერთან გადამწყვეტ და შეურიგებელ ბრძოლაში, გიგანტურად აამაღლა კულტურული ფრონტის მნიშვნელობა.

„ჩვენს ქვეყანაში, თქვა ამხ. მოლოტოვმა 1937 წ. 6 ნოემბერს დიდ თეატრში გამართულ საზეიმო სხდომაზე—სოციალიზმმა მთლიანად გაიმარჯვა პოლიტიკურ დარგში ჯერ კიდევ 1917 წლის ოქტომბრის დღეებში. სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაზე ქვეყნის ეკონომიკაში ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ კოლმეურნეობათა გზაზე გლეხთა მასების მობრუნების დროიდან, ე. ი. ეს უკვე 7-8 წლის ამბავია. სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაზე კულტურის დარგში ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი. ამასთან დაკავშირებულია ის ფაქტი, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ასე ბევრია გასაკეთებელი კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად ადამიანთა შეგნებაში. მათი აღმოფხვრა წარმატებით შეიძლება მხოლოდ სოციალისტური კულტურის ფართო აღმავლობით, მაგრამ სამაგიეროდ თვითეული ნაბიჯი ნამდვილად სოციალისტური კულტურის გზაზე არა მარტო იძლევა თავის დაუყოვნებლივ შედეგებს, არამედ ჰქმნის კიდევაც კომუნიზმში სოციალიზმის გადაზრდის წანამძღვარებს“.

ამ გრანდიოზულ ამოცანის გადაჭრაში საპატიო ადგილი ეკუთვნის საბჭოთა უმაღლეს სკოლას, მის კადრებსა და მოსწავლეებს. ჩვენი დიადი ეპოქის მოთხოვნილებათა დონეზე ყოფნა პროფესურისა და სტუდენტობის მოვალეობისა და ღირსების საქმეა, მთელი საბჭოთა ინტელიგენციის ღირსების საქმეა.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში „მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია სრულიად სწორუფლებიანია ქვეყნის სამეურნეო, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში“ (სტალინი). ახალი საბჭოთა ინტელიგენცია მთელი ფესვებით დაკავშირებულია მუშებისა და გლეხთა მასებთან. ის გამოსულია არა ექსპლოატატორთა წრიდან, რომელიც საბოლოოდ აღმოფხვრილია ჩვენს ქვეყანაში, არამედ მუშებისა და გლეხების წრიდან. ის ემსახურება არა ექსპლოატატორებს, არამედ ხალხს. მუშათა კლასთან და გლეხობასთან ერთად საბჭოთა ინტელიგენცია მონაწილეობს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში. ის საბჭოთა დიდი ხალხის სისხლი სისხლთაგანია, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრია.

საბჭოთა ინტელიგენცია, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკები, უმაღლესი სკოლის პროფესორები, მასწავლებლები და სტუდენტები, ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს მშრომელებთან ერთად, ემზადებიან სსრკ უზენაესი საბჭოს სასიხარულო და სადღესასწაულო საარჩევნო დღისათვის. მშრომელთა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და წინასაარჩევნო საოლქო თათბირების მიერ წამოყენებულ კანდიდატთა შორის ცოტა როდია საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა სახელები: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი კომაროვი, პროფესორი ბუდენკო, მწერლები შოლოხოვი და ტოლსტოი, არტისტები მოსკვინა და კორჩაგინა-ალექსანდროვსკაია და სხვები. ეჭვს გარეშეა, რომ მათ ერთსულოვნად მისცემენ ხმას იმ საარჩევნო ოკრუგების მშრომელები, სადაც რეგისტრირებულია მათი კანდიდატურები.

ერთერთ წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე აკადემიკოსმა ი. ა. კაბლუკოვმა, რუსული ინტელიგენციის ძველი თაობის წარმომადგენელმა, სთქვა: „ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი კავშირი, რომელიც შექმნილია და რომელსაც ხელმძღვანელობს ბოლშევიკების პარტია, მეცნიერება და მეცნიერი მუშაკები ისეთ პატივში იმყოფებიან, რომლის მსგავსი მათ არასოდეს მსოფლიოს არც ერთს ქვეყანაში არ უნახავთ“. და მან თავისი სიტყვა ასე დააბოლოვა: „ჩვენი ხელმძღვანელია ვლადიმერ ილიჩის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი ამხანაგი სტალინი. მე მთლიანად მხარს ვუჭერ ამხანაგ სტალინის კანდიდატურას და მის უახლოეს თანამებრძოლთა არჩევას საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოს დეპუტატებად“.

საბჭოთა ინტელიგენცია ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასთან და გლეხობასთან ერთად ისე, როგორც არასოდეს შემჭიდროებულია ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ, მისი სტალინურ ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ. საბჭოთა ინტელიგენტები, როგორც ერთი კაცი, აგიტაციას გასწევენ და ხმას მისცემენ ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილებს, პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებს, რომელთაც შესწევთ უნარი წარმატებით წაიყვანონ ჩვენი სამშობლო კომუნიზმის შემდგომ გამარჯვებებისაკენ.

გავეცნოთ რით დაიმსახურეს საარჩევნო ოლქის კანდიდატებმა ხალხის ნდობა, რით გამოიჩინეს თავდადება ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი

შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანი

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს არჩევნების თბილისის სასოფლო საარჩევნო ოლქის № 511 საოლქო საარჩევნო კომისიამ, განიხილა რა შემოსული დოკუმენტები სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატურათა წამოყენების შესახებ და დაადასტურა რა, რომ წარმოდგენილი დოკუმენტები სავსებით შეესაბამებიან „სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 56, 57,58,59,60 და 61 მუხლებს, დაადგინა:

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მე-60 მუხლის საფუძველზე, გატარებულ იქნას რეგისტრაციაში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობაზე კენჭისსაყრელად თბილისის სასოფლო საარჩევნო ოლქში № 511 სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად შალვა ნიკოლოზის-ძე დადიანი, დაბადებული 1874 წელს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, მწერალი-დრამატურგი, მცხოვრები ქ. თბილისში ყიფიანის ქუჩაზე № 8, წამოყენებული ბერიას სახელობის კოლმეურნეობის (სოფელი ავჭალა, თბილისის რაიონი), ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის (სოფელი ბაგები, თბილისის რაიონი), მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის (ორთაჭალა, თბილისი), ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის (სოფ. სართიჭალა, საგარეჯოს რაიონი) კოლმეურნეთა საერთო კრებების მიერ, რომლებსაც დაესწრო 1.255 კაცი.

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მე-66 მუხლის საფუძველზე, შეტანილ იქნას ამხ. დადიანის კანდიდატურა საარჩევნო ბიულეტენში თბილისის—სასოფლო საარჩევნო ოლქში № 511.

„სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების“ მე-65 მუხლის შესაბამისად, დადგენილება გამოქვეყნდეს საყოველთაო ცნობისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ლეკიშვილი.**
თავმჯდომარის მოადგილე — **როსტიაშვილი.**
მდივანი—**ტაბატაძე.**
კომისიის წევრები: **ოდიშვილი, გერგაული, ივანიშვილი, გოლოშვილი, მინასაშვილი.**



პროფ. ალექსანდრე მაჭავარიანი

მუყაითმა, ბეჯითმა და პატიოსანმა შრომამ პროფ. **ალექსანდრე გიორგის-ძე მაჭავარიანს** საამაყო რეპუტაცია და სახელი მოუპოვა საბჭოთა საქართველოს მშრომელთა შორის

პროფ. ალ. გ. მაჭავარიანი დაიბადა 1884 წელს ქ. ბათუმში, იურისტის ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლა მშობლებთან მიიღო, 1902 წელს მან ვერცხლის მედალით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, რის შემდეგ რუსეთს გაემგზავრა. უმაღლესი სამედიცინო განათლება პროფ. ა. მაჭავარიანმა მიიღო ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში, საიდანაც მეოთხე კურსიდან იქნა განწესებული პეტროგრადის სამხედრო სამედიცინო აკადემიაში. 1914 წელს მან წარჩინებით დაიცვა დისერტაცია მედიცინის დოქტორის ხარისხზე.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში ის უშუალო მოწმე იყო ადამიანთა ხოცვა-ჟლეტის უდიდესი ტრაგედიისა, პროფ. ალ. მაჭავარიანი ქირურგად მუშაობდა ჩრდილოეთ სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტებზე.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. პროფ. ა. მაჭავარიანი თბილისში დაბრუნდა სამუშაოდ.

საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. პროფ. ალ. მაჭავარიანი ენერგიულად და პატიოსნად შეუდგა მშრომელი ხალხის სამსახურს. იგი მთელი წლების განმავლობაში სათავეში ედგა მთელ რიგ სამედიცინო დაწესებულებებს თბილისში. ამჟამად ის ჯანმრთელობის დაცვის სახკომისრის მოადგილეა. პროფ ა. მაჭავარიანი ჯანსახკომის სამეცნიერო საბჭოს წევრად ითვლება დღიდან მის დაარსებისა და პირნათლად ასრულებს ყველა საზოგადოებრივ დავალებას.

სსრ კავშირის უზენაესი ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებით, პროფ. ალ. მაჭავარიანის კანდიდატურა ეროვნებათა საბჭოს დეპუტატად წამოაყენა ჩაქვის საარჩევნო ოლქმა.

◆

აფხაზეთი

რეგისტრაციაში გატარებულია ამხ. პ. ა. შარიას კანდიდატურა

საქართველოს სს რესპუბლიკიდან ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო ოლქის № 101 საოლქო საარჩევნო კომისიამ ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციაში გაატარა ამხ. პეტრე **ათანასეს-ძე შარია**, საქ. კ. პ. (ბ) წევრი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგე, ქ. თბილისის მცხოვრები.

[illegible] ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

I. უმაღლეს სასწავლებლებში პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობისათვის საშტატო თანამდებობათა და თანამდებობრივი განაკვეთების შემოღების შესახებ

უმაღლესი სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და უმაღლესი სასწავლებლების პროფესორთა, დოცენტთა, სხვა მასწავლებლებთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის მატერიალური უზრუნველყოფილობის ამაღლების მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. გაუქმდეს უმაღლესი სკოლის პროფესორთა, დოცენტთა და სხვა მასწავლებელთა შრომის საათობრივი ანაზღაურების ამჟამად მომქმედი წესი, როგორც მოძველებული, რომელიც აღარ შეეფერება უმაღლეს სკოლაში სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ამოცანებს.

შემოღებულ იქნას 1937-38 სასწავლო წელს საშტატო თანამდებობათა და ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთების სისტემა პროფესორებისა, დოცენტებისა, სხვა მასწავლებლებისა და სასწავლო-დამხმარე პერსონალისათვის სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში.

2. დაწესდეს, რომ უმაღლესი სასწავლებლის თვითეული პროფესორი, დოცენტი და სხვა მასწავლებელი უნდა იმყოფებოდეს მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებლის შტატში, რომელიც წარმოადგენს მისი მუშაობის ძირითად ადგილს და რომელშიაც იგი უნდა ეწეოდეს ყველა სახის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას, რაც გამომდინარეობს დაკავებული თანამდებობიდან და სასწავლო გეგმიდან, და ამ მუშაობას უმაღლეს სასწავლებელში ანდომებდეს საშუალოდ ხუთ საათს დღეში.

ზემოთ აღნიშნული სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მოიცავს მის შემდეგს ძირითად სახეებს: ლექციების კითხვას, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობის წარმოებას, გამოცდებისა და ჩათვლების ჩატარებას, პროექტირებისა და საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელობას, საკონსულტაციო მუშაობას სტუდენტებთან და ასპირანტებთან, პროფესორების საკონტროლო დასწრებას ლექციებსა და სხვა მეცადინეობაზე, რომლებსაც ატარებენ დოცენტები და სხვა მასწავლებლები, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დამუშავებას, სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას.

3. დაწესდეს, უმაღლეს სასწავლებელში პროფესორის, დოცენტის ან სხვა მასწავლებლის ხუთი საათის მუშაობის ფარგლებში, სასწავლო გეგმის შესრულებისათვის სტუდენტებთან და ასპირანტებთან მისი სასწავლო მეცადინეობის შემდეგი მოცულობა: პროფესორ—კათედრის გამგისათვის—2-დან 2,5 საათამდე, კათედრის პროფესორისათვის—2,25-დან 2,75 საათამდე, კათედრის დოცენტისა, უფროსი მასწავლებლისა, კათედრის ასისტენტისა და მასწავლებლისათვის—2,5-დან 3 საათამდე.

4. დაწესდეს სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის შემდეგი საშტატო თანამდებობანი:

ა) პროფესორი—კათედრის გამგე.
კათედრის პროფესორი,
კათედრის დოცენტი,
კათედრის ასისტენტი,
უფროსი მასწავლებელი და მასწავლებელი—სწავლების იმ საგნებში, რომლებიც მოცემულ უმაღლეს სასწავლებელში ძირითადი არ არის;
ბ) უფროსი ლაბორანტი.
ლაბორანტი.

დაწესდეს, რომ უმაღლესი სასწავლებლის შტატის მუშაკს შეუძლია ეჭიროს იქ მხოლოდ ერთი საშტატო თანამდებობა.

5. დაწესდეს უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის ხელფასის შემდეგი თანამდებობრივი განაკვეთები:

საშტატო თანამდებობანი	ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთები: დაკავებულ თანამდებობის სტაჟით:		
სამეცნიერო ხარისხი ან განათლება	5 წელზე ნაკლები	5-დან 10 წლამდე	10 წელზე მეტი
	(მანეთი თვეში)		
ა.			
1. პროფესორი — კათედრის გამგე, მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე	1.100	1.300	1.500
მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის არმქონე	900	1.000	1.200
2. კათედრის პროფესორი — მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მქონე	1.000	1.150	1.300
მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის არმქონე	800	900	1.000
3. კათედრის დოცენტი და უფროსი მასწავლებელი—მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონენი	700	800	900
მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის არმქონენი	600	700	700
4 კათედრის ასისტენტი და მასწავლებელი — მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონენი	600	700	800
მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის არმქონენი	500	600	600
ბ.			
5. უფროსი ლაბორანტი	450	500	550
6. ლაბორანტი — საშუალო სპეციალური განათლების მქონე	350	400	450
საშუალო საერთო განათლების მქონე	225	275	325

თანამდებობის სტაჟი გამოიანგარიშება ამ თანამდებობაში მოვალეობის ფაქტიურად შესრულების დროის მიხედვით. პროფესორის—კათედრის გამგის თანამდებობის სტაჟში ჩაითვლება ის პერიოდიც, როდესაც იგი მუშაობდა პროფესორად, ხოლო არ განაგებდა კათედრას.

6. დაწესდეს უმაღლესი სასწავლებლების უმცროსი სასწავლო-დამხმარე პერსონალის ხელფასის შემდეგი განაკვეთები:

საშტატო თანამდებობანი	ხელფასის თანამდებობრივი განაკვეთები: დაკავებული თანამდებობის სტაჟი:		
	5 წელზე ნაკლები	5-დან 10 წლამდე	10 წელზე მეტი
	(მანეთი თვეში)		
1. უფროსი პრეპარატორი	225	275	325
2. პრეპარატორი	150	175	200

7. დაწესდეს უმაღლეს სასწავლებელთა დირექტორებისა და სამეცნიერო-სასწავლო მუშაობის დარგში მათი მოადგილეების ხელფასის შემდეგი თანამდებობრივი განაკვეთები—უმაღლესი სასწავლებლის მნიშვნელობისა და მასში მოსწავლეთა რიცხვის შესაბამისად: თანამდებობრივი განაკვეთი 1-ლი კატეგორიისა—1.300 მანეთი თვეში; თანამდებობრივი განაკვეთი მე-2 კატეგორიისა—1.100 მანეთი თვეში. თანამდებობრივი განაკვეთი მე-3 კატეგორიისა—1.000 მანეთი თვეში: თანამდებობრივი განაკვეთები დირექტორების თანაშემწეებისათვის ადმინისტრატიულ-სამეურნეო ნაწილში დაწესდეს აღნიშნული კატეგორიების შესაბამისად—900—800—600 მანეთის ოდენობით თვეში.

ერთერთ აღნიშნულ კატეგორიაზე უმაღლესი სასწავლებლების მიკუთვნებას ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

8. დაწესდეს, რომ უმაღლესი სასწავლებლის შტატში მყოფ პროფესორებს, დოცენტებს და სხვა მასწავლებლებს შეუძლიათ დამატებით ეწეოდნენ სასწავლო ან სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას სხვა უმაღლეს სასწავლებლებში ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, ამ უკანასკნელებში საშტატო თანამდებობის დაუკავებლად.

დაწესდეს, რომ პროფესორი—კათედრის გამგე, კათედრის პროფესორი და კათედრის დოცენტი, დაშვებულნი უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის მიერ კათედრის გამგის მოვალეობის შესასრულებლად სხვა უმაღლეს სასწავლებელში შეთავსებით, ასეთი მუშაობისათვის დამატებით ღებულობენ მათი ძირითადი თანამდებობისათვის დაწესებულ თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტს, ხოლო პროფესორის, დოცენტის ან სხვა მასწავლებლის მოვალეობის შესასრულებლად დაშვებულნი—სამუშაოს მოცულობის შესაბამისად, მაგრამ არა უმეტეს ძირითადი თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტისა.

9. დაწესდეს, რომ პროფესორების, დოცენტების ან ასისტენტების მუშაობა სამედიცინო ინსტიტუტებთან არსებულ ან მათთან მიმაგრებულ სამკურნალო დაწესებულებებში არ ითვლება შეთავსებად და ანაზღაურდება ხელფასის ძირითადი განაკვეთის დამატებით—შესაბამისი კატეგორიისა და სტაჟის ექიმისათვის დაწესებული განაკვეთის ოდენობით.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების მასწავლებელთა შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1934 წლის 21 სექტემბრის დადგენილების 1 და 2 მუხლები.

10. დაუწესდეს შრომის დამატებითი, ხელფასის თანამდებობრივ განაკვეთს ზევით, ანაზღაურება იმ სამუშაოსათვის, რომელიც სრულდება საშტატო თანამდებობის ზევით იმავე უმაღლეს სასწავლებელში:

ა) უმაღლესი სასწავლებლის დირექტორს და მის მოადგილეს სამეცნიერო-სასწავლო მუშაობის დარგში კათედრის პროფესორის, დოცენტის ან მასწავლებლის სამუშაოს იმავდროულად შესრულებისათვის—საათობრივად, შესრულებულ სამუშაოს შესაბამისად;

ბ) პროფესორ—კათედრის გამგეს ან კათედრის პროფესორს იმავდროულად ფაკულტეტის დეკანის მოვალეობათა შესრულებისათვის—მისი ძირითადი განაკვეთის 50 პროცენტი.

11. კათედრის დოცენტს, რომელსაც უმაღლესი სკოლის საქმეთა საკავშირო კომიტეტი დაუშვებს კათედრის გამგის მოვალეობათა შესასრულებლად იმავე უმაღლეს სასწავლებელში. ამ სამუშაოსათვის დამატებით ეძლეოდეს კათედრის დოცენტის თანამდებობაზე მისი განაკვეთის 20 პროც.

12. დაშვებულ იქნას იმ უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც ატარებენ სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს სამეურნეო ორგანოების დავალებებით, ასეთ სამუშაოთა შესრულება შტატის მუშაკების მიერ დამატებითი გასამრჯელოს მიღებით თანამდებობრივი განაკვეთის 50 პროცენტზე არა უმეტესი ოდენობით, შემდეგი პირობების დაცვით:

ა) იმ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმას, რაც სამეურნეო ორგანოების დავალებებით ტარდება, ცალკე ამტკიცებს ის სახალხო კომისარი, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელი ექვემდებარება;

ბ) სამეურნეო ორგანოების დავალებებით სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს ასრულებენ საშტატო მუშაკები უმაღლესი სასწავლებლის დირექტორთან დადებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებათა საფუძველზე, ამასთან ეს სამუშაო არავითარ შემთხვევაში არ უნდა სრულდებოდეს იმ დროის ხარჯზე, რომელიც გათვალისწინებულია მუშაობისათვის საშტატო თანამდებობით.

13. იმ პირთათვის, რომელთაც გამონაკლისის სახით იწვევენ საათობრივ სამუშაოზე უმაღლეს სასწავლებელში, დაწესდეს შემდეგი ხელფასი:

მანეთი 1 საათის მუშაობაში

მეცადინეობის სახეები	პროფესორს	დოცენტს	სპეციალისტს, რომელსაც არა აქვს სამეცნიერო წოდება
1. ლექციები სპეციალურ დისციპლინებში, კონსულტაციები სადიპლომო პროექტირების დარგში, ასპირანტების კონსულტაციები დისერტაციების შესახებ.	30	25	20
2. ლექციები სხვა დისციპლინებში	25	20	15

დაწესდეს, რომ საათებისათვის გასაცემი ხელფასის წლიურ ფონდს სახალხო კომისარიატების წარდგენით განსაზღვრავს უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტი მოცემული უმაღლესი სასწავლებლის საშტატო პერსონალის ხელფასის წლიური ფონდის 10—20 პროცენტის რაოდენობით.

14. დაწესდეს, რომ ზემოაღნიშნული ახალი თანამდებობრივი განაკვეთები უმაღლეს სასწავლებლებში შემოიღება მხოლოდ მას შემდეგ, რაც უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად - საკავშირო კომიტეტი დაამტკიცებს სათანადო საშტატო განრიგებას.

15. დაევალოთ სახალხო კომისარიატებს ორი თვის ვადაში წარუდგინონ უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტს დასამტკიცებლად მათ მიერ განსაზღვრული შტატები პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალისა თვითეული უმაღლესი სასწავლებლისათვის ცალკე.

უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა უმაღლესი სასწავლებლების შტატების დამტკიცების დარგში მუშაობა ჩაატაროს იმ ანგარიშით, რათა ყველა უმაღლეს სასწავლებელში საშტატო-საგანაკვეთო სისტემის გატარება დამთავრებულ იქნას არა უგვიანეს 1938 წლის 1 აპრილისა.

16. ჩაითვალოს ძალადაკარგულად: სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ 1930 წლის 22 აგვისტოს დამტკიცებული „დებულება სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა პერსონალის შრომის ანაზღაურების საშტატო-საგანაკვეთო სისტემის შესახებ“; სსრ კავშირის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1931 წლის 7 თებერვალს დამტკიცებული „დებულება უმაღლესი სასწავლებლების, ტექნიკუმების, მუშფაკების, საფაბრიკო-საქარხნო და მასობრივი პროფესიების სკოლების, პროფტექნიკური სკოლების, საბჭოთა პარტიული სკოლებისა და მუშათა დამატებითი განათლების სისტემის მასწავლებელთა პერსონალის შრომის ანაზღაურების შესახებ“ (იმ ნაწილში, რომელიც შეეხება უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა პერსონალს); სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1931 წლის 28 თებერვლის დადგენილება „შორეულ ადგილებში არსებული უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა პერსონალის შრომის ანაზღაურების შესახებ“.

17. წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკათა მთავრობებს მოკავშირე რესპუბლიკების მომქმედ კანონმდებლობაში შეიტანონ ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

II. უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის სტიპენდიების გადიდების შესახებ

უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა მატერიალური უზრუნველყოფილობის გადიდებისა და სტიპენდიების გაცემის მოწესრიგების მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. 1937 წლის 1 ნოემბრიდან სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის დაწესდეს ყოველთვიური სახელმწიფო სტიპენდიების შემდეგი ოდენობა კურსების მიხედვით:

I კურსი.	II კურსი
130 მან.	150 მან.
III და IV კურსი.	V კურსი
175 მან.	200 მან.

იმ უმაღლესი სასწავლებლებისათვის, სადაც სწავლების ვადა ოთხწლიანია, სტიპენდია IV კურსზე წესდება იმ ოდენობით, რომელიც მიღებულია იმ უმაღლესი სასწავლებლების V კურსისათვის, სადაც სწავლების ვადა ხუთწლიანია.

2. ქ. მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის ყოველთვიური სახელმწიფო სტიპენდიების ოდენობა გადიდებულ იქნას 10 მანეთით სტიპენდიების საერთო ოდენობასთან შედარებით.

3. 1937 წლის 1 ნოემბრიდან სამასწავლებლო ინსტიტუტების სტუდენტთათვის დაწესდეს ყოველთვიური სახელმწიფო სტიპენდიების შემდეგი ოდენობა:

I კურსზე... 130 მანეთი
II კურსზე... 150 მანეთი.

4. დაწესდეს, რომ სტიპენდიას უნიშნავს უმაღლესი სასწავლებლის დირექტორი ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სტუდენტის წარსული წლის წარმატების მონაცემების მიხედვით.

პირველ კურსზე სტიპენდიის დანიშვნისას უპირატესობა ეძლევათ იმ სტუდენტებს, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში მიღებული არიან საშუალო სკოლის ფრიადოსნის უფლებით, აგრეთვე იმათ, რომლებმაც ყველაზე წარმატებით ჩააბარეს შესასვლელი გამოცდები.

5. უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებს მიენიჭოთ უფლება 50 პროცენტით შეუმცირონ სტიპენდიის ოდენობა იმ სტუდენტებს, რომლებმაც გააუარესეს თავიანთი მუშაობა, და სავსებით მოუხსნონ სტიპენდია იმ სტუდენტებს, რომ-

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

„კომუნისტური განათლება“

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოში

(დასასრული)

ლებიც არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

6. დაწესდეს, რომ სახალხო კომისარიატები თავიანთი საერთო სასტიპენდიო ფონდების ფარგლებში განსაზღვრავენ სასტიპენდიო ფონდის ოდენობას თვითეული უმაღლესი სასწავლებლისათვის უმაღლესი სასწავლებლის სპეციალობის, მოსამზადებელი კადრების დეფიციტურობის და მოცემული უმაღლესი სასწავლებლის დაკომპლექტების პირობების შესაბამისად.

7. ჩაითვალოს ძალადაკარგულად: სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 10 თებერვლის დადგენილება „უმაღლესი სასწავლებლების, უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების, ტექნიკუმებისა და მუშფაკების მოსწავლეთა სტიპენდიებით უზრუნველყოფის წესის შესახებ" (იმ ნაწილში, რომელიც ეხება უმაღლეს სასწავლებლებს); სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 2 სექტემბრის დადგენილება „უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში 1933-34 სასწავლო წლის მიღების კონტინგენტთა უზრუნველყოფის შესახებ" (იმ ნაწილში, რომელიც ეხება უმაღლეს სასწავლებლებს); სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1935 წ. 23 იანვრის დადგენილება „მოსკოვისა და ლენინგრადის სტუდენტთათვის სტიპენდიების გადიდების შესახებ სასტუდენტო სადილების შეღავათიან ფასებში გაცემის გაუქმებასთან დაკავშირებით" (იმ ნაწილში, რომელიც ეხება უმაღლეს სასწავლებლებს).

* * *

გარდა ამისა, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა 1937 წლის 1 ნოემბრიდან გაუდიდდეთ სტიპენდიები ასპირანტებს უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში 400 მანეთამდი თვეში.

ენთუზიაზმით სწავლობენ

სოფელ როდინოულის (ზესტაფონის რ.) საშუალო სკოლები დიდი ინტერესით სწავლობენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულებას.

სკოლაში ჩამოყალიბებულია რვა საარჩევნო დებულების შემსწავლელი წრე, რომელშიც გაერთიანებულია მოსწავლე ახალგაზრდობა. წრეები უზრუნველყოფილია კვალიფიციური პროპაგანდისტებით და სახელმძღვანელო ლიტერატურით. მეცადინეობაში ფართოდ იყენებენ რუკას.

აკ. მერკვილაძე.

მზადება უზენაეს საბჭოს არჩევნებისათვის

დიდი ენთუზიაზმით სწავლობენ საარჩევნო დებულებას

ს.ს.რ. კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლისა და მშრომელთა ფართო მასებში მისი დანერგვის საქმეს გორის მეორე საშუალო სკოლა (დირექტორი ამხ. მავრა გელაშვილი) დიდი ენტუზიაზმითა და მონდომებით შეუდგა.

სკოლაში თავიდანვე ჩამოყალიბდა კონსტიტუციისა და ს.ს.რ. კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შემსწავლელი წრე, სადაც მეცადინეობა სკოლის ყველა მასწავლებელმა წარჩინებით დაასრულა. უფროს კლასებში (მე-8, 9 და 10 კლასებში) დებულების შესწავლას მოხმარდა 5-5 გაკვეთილი, დანარჩენ კლასების მოწაფეთათვის კი მოეწყო წრეები, სადაც სისტემატურად მიმდინარეობს მეცადინეობა.

მეორე სკოლის პედაგოგიური პერსონალი ამითაც არ დაკმაყოფილდა; მოეწყო მოწაფეთა მშობლებისათვის წრეები, რომლებზედაც ხელმძღვანელებად მიმაგრებულია ამ სკოლის ყველა (18) მასწავლებელი. წრეებში დებულების შესწავლა დიდი ინტერესით მიმდინარეობს. წრის ხელმძღვანელის მიერ საუბრის ჩატარების შემდეგ ისმება კითხვები მეტად აქტუალურ საკითხებზე და იმართება კამათი. წრის ხელმძღვანელთაგან განსაკუთრებით ენერგიულად მუშაობენ თვითონ სკოლის დირექტორი ამხ. გელაშვილი და მასწავლებლები: თამარ ჭუჭუანი, თინა ბებია, მარგარიტა როსებაშვილი და სხვ.

გორის მეორე სკოლის პედკოლექტივი დიდი მონდომებით აკეთებს მეტად საპატიო საქმეს, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლისა და მშრომელთა ფართო მასებში მის პოპულარიზაციის საქმეს.

ი. ნ-ლი.

ყველამ უნდა შეისწავლოს საარჩევნო დებულება

ლეჟამის სასოფლო საბჭოს (ცხაკაიას რ.) ამხ. ლ. ბერიას სახ. კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულია დებულების შემსწავლელი სამი წრე. წრეებზე მიმაგრებულია ქ. ქ. მასწავლებლები, რომლებიც სწავლების აქტიური მეთოდების საშუალებით საუკეთესო მაგალითებს იძლევიან. მაგრამ ზოგიერთი კოლმეურნეები სისტემატურად არ დადიან დებულების შემსწავლელ წრეში.

საჭიროა ამხ. ლ. ბერიას სახ. კოლმეურნეობის გამგეობამ მიიღოს გადამჭრელი ზომები, რათა წრის გარეთ დარჩენილი კოლმეურნე უახლოეს ხანებში იქნეს ჩაბმული დებულების შემსწავლელ წრეში.

გ. კოხია

* * *

მოწინავე პოლიტწრე

მე-30 საშუალო სკოლასთან არსებობს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ძირითადი მომენტების შემსწავლელი კომკავშირული წრე, რომელშიც შედიან კავშირგარეშე ახალგაზრდებიც. პოლიტწრის მეცადინეობა სისტემატურად და მომზადებულად ტარდება. ამჟამად წრეში მუშავდება სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულება. დებულების შესწავლისადმი დიდ ინტერესსა და მონდომებას იჩენენ მსმენელები.

წრეს ჰყავს საუკეთესო მსმენელები: გ. საძაგლიშვილი, ქ. არველაძე, გრ. ბერიძე, მ. კობიაშვილი და სხვ.

გიორგი უკლება

თბილისი, მე-36 სკოლა.

მთელ საბჭოთა კავშირში მოწაფეთა ასეულები აბარებენ ნორმებს რსფსრ პიონერთა მომართვის საპასუხოდ, რომ „თითოეულ პიონერს უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ 3 ნიშნისა".

სურათზე: სკოლის ერთი მოწინავე ნიშნოსანთაგანი კატო ენუქიძე, რომელსაც ჩაბარებული აქვს ნორმები 3 ნიშანზე (მვშთ, მვსთ, მვსქთ).

ფოტო ბუდეშტსკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ვინ როგორ შეასრულა აღებული ვალდებულებანი

ვალდებულებები გაანაღდეს

შეჯიბრებაში ჩაბმამდე მე-19 სკოლას მრავალი ისეთი მოწაფე ჰყავდა, რომლებსაც 2-3 და მეტ საგანში სუსტი ნიშნები ჰქონდათ. მარტო VI ა. კლასში (ხელმძღვანელი ელ. წერეთელი) სექტემბერში 19 მოწაფე იყო სუსტი ორსა ან რამდენიმე საგანში, მაგრამ კლასის ხელმძღვანელის ელ. წერეთელის ნაყოფიერი მუშაობის შედეგად ახლა, ოქტომბრის ბოლოსთვის, კლასში მხოლოდ 2 მოწაფეა სუსტი. ასეთივე მდგომარეობაა VI ბ (ხელმძღვანელი სიმონ წერეთელი) და სხვა კლასებში.

მასწავლებლები: მათიაშვილი, გედევანიშვილი და სხვ. ყოველდღიურად ატარებენ სუსტნიშნიან მოწაფეთა შორის კონსულტაციებს. მასწავლებელი გედევანიშვილი ამითაც არ დაკმაყოფილდა და სკოლაში მოაწყო ფიზიკის წრე, სადაც გაერთიანებულია 25 მოწაფე.

გარდატეხა და მუშაობის გაუმჯობესება დაწყებითი სკოლის კლასებსაც დაეტყო. მასწავლებლებმა გომელაურმა, ალავერდაშვილმა, ლაღანიძემ, კოტარიამ, ნატალია გონიაშვილმა და ეკ. მახათაძემ სასწავლო-პედაგოგიური პროცესი სანიმუშოდ წარმართეს, კლასებში განმტკიცებულია სანიმუშო წესრიგი.

მოწყობილი იყო მასწავლებელთათვის კონსტიტუციისა და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების შემსწავლელი წრე, რომელმაც დებულების შესწავლა უკვე დაამთავრა. მოეწყო მოწაფეთა მშობლებს შორის ოთხი წრე, სადაც გაერთიანებულია მოწაფეთა 160 მშობელი. წრეებს ხელმძღვანელობენ მომზადებული მასწავლებლები. მეცადინეობა ჩატარებულია 3-ჯერ. მშობლები დებულების შესწავლისადმი დიდ ინტერესს იჩენენ.

დიდი დასვენებების დროს ეწყობა ხოლმე 15—წუთიანი აგიტაცია (აგიტატორი ამხ. ენუქიძე) და სხვ. საკითხებზე. ყოველ ხუთ დღეში ერთხელ ეწყობა მოწაფეთა მშობლების კრება, სადაც ირჩევა მოწაფეთა წარმატებებისა და დისციპლინის საკითხები.

სკოლას შეეძლო კიდევ ბევრის გაკეთება, მაგრამ თბილისის საბჭოს განათლების განყოფილებაში, და 26 კომუნარის რაისაბჭოში მოკალათებულ ხალხის მტერთა მიერ მავნებლურად შედგენილი ბიუჯეტის გამო სკოლას არ ჰქონდა ამის საშუალება. ასეთ დიდ სკოლისათვის, როგორიც მე-19 საშუალო სკოლაა, ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო მხოლოდ 8.000 მანეთი. მარტო ეს ფაქტიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ მავნებლურად იყო შედგენილი ბიუჯეტი. ასეთი ცოტა თანხის გამო სკოლა ჯერაც არაა სათანადოდ მოწყობილი, არაა მოწყობილი კაბინეტები და სამასწავლებლო.

26 კომუნარის სახელობის რაისაბჭომ და განათლების განყოფილებამ სასწრაფოდ უნდა მიაქციონ ყურადღება ამ მდგომარეობას.

ი. ნ—ლი.

მოვიპოვეთ მიღწევები

თბილისის მე-37 საშუალო სკოლამ სასწავლო წლის პირველი მეოთხედი თვალსაჩინო მიღწევებით დაამთავრა. მასწავლებლობა თავიდანვე აქტიურად ჩაება სწავლების ხარისხის ასამაღლებლად და სკოლის ძირითადი ნაკლის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში.

ფართოდ გაიშალა მეთოდური მუშაობა, ტარდებოდა სისტემატურად პედწრის მეცადინეობა, ხდებოდა გარჩევა ღია გაკვეთილებისა. ტარდებოდა მასწავლებელთა კონსულტაციები და სხვ. ამგვარად, მივაღწიეთ გაკვეთილის მაღალ ხარისხს. საუკეთესო გაკვეთილები გადასცეს მასწავლებლებმა: ვ. კაკაბაძემ, ნაროზაშვილმა. ა. პავლოვსკაიამ, ფეოდოროვამ და სხვებმა. სკოლამ მიმდინარე სასწ. წლის 1-ლ მეოთხედში მიაღწია აკადემიური წარმატების საუკეთესო მაჩვენებლებს. სკოლის წარმატება უდრის 84,4 პროც.-ს. 100 პროც.-ან წარმატებებს იძლევა სამი კლასი II 5, II 1 და V 4 და V 1 კლასში მოსწავლეთა 50 პროც. ფრიადოსნები და კარგოსნებია, 50 პროც.-ს კი შეადგენენ საშუალოდ შეფასებული მოსწავლეები, რომელთაც მთელ რიგ ძირითად საგნებში აქვთ ფრიადებიც და კარგებიც. მოსწავლეთა საერთო რიცხვიდან (1172) 35 პროც. ფრიადოსანი და კარგოსანია მათ შორის გამოირჩევიან ფრიადოსნები: ლვაბერიძე (მე-9 კლ.), ზ. პაპაშვილი (მე-9 კლ.), მებუკე (მე-6 კლ.), შენგელია (მე-6 კლ.), შატუხი (მე-5 კლ.), ქელბაქიანი, მ. თუხარელი (მე-7 კლ.), კუჩინსკაია (მე-6 კლ.) და სხვ. სკოლას ჰყავს წარჩინებული მასწავლებლები; ა. ყიფიანი, ვ. კუტალაძე, მ. ჭანიშვილი, ვ. იზმაილოვა, ვ. კაკაბაძე, მანდირეევა და სხვები. რომლებმაც მიაღწიეს 100 პროც.-ან წარმატებებს ყველა საგანში, კლასების საუკეთესო ხელმძღვანელები არიან: ვ. კუტალაძე, მ. ედილაშვილი, თ. ნაროზაშვილი, ეკ. ანთაძე, აკ. გოცირიძე, ა. ყიფიანი და ვ. წულაძე, რომელთაც სანიმუშოდ აქვთ დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობა. სკოლამ დიდი მუშაობა ჩაატარა ს. ს. რ. კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დებულების შესწავლის საქმეში. ჩამოყალიბებულია 5 წრე, რომლებშიც გაერთიანებულია მოსწავლეთა მშობლები, მასწავლებლები და უფროსი კლასების მოსწავლეები. სკოლაში არსებობს სანიმუშო საარჩევნო პუნქტი, რომლის მოწყობაში სკოლამ აქტიური მონაწილეობა მიიღო.

გ. ედილაშვილი.

მე-37 საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

* * *

სახელმძღვანელოებით არ ამარაგებენ

სწავლის დაწყების დღიდან უკვე მესამე თვე მთავრდება, მაგრამ ხულოს რაიონის განათლების განყოფილებამ სოფლის სკოლები დღემდე სახელმძღვანელოებით ვერ უზრუნველჰყო.

მოწაფეთათვის სახელმძღვანელოების მიწოდებისათვის არც სახელგამის ხულოს განყოფილება იწუხებს თავს და არც კოოპერატიული მაღაზიები. ამის გამო ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა ხულოდან მოწაფეები ბათუმში მიდიან სახელმძღვანელოების საყიდლად, რაც იწვევს გაკვეთილების ხანგრძლივად გაცდენას.

ხულოს განათლების განყოფილებამ უნდა იფიქროს მოწაფეთათვის სახელმძღვანელოების მიწოდებაზე.

ი. ალექსიძე

მეტი ყურადღება ანტირელიგიურ მუშაობას

ახლოვდება ისტორიული თარიღი — 12 დეკემბერი, როცა გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მშრომელები აირჩევენ უზენაეს საბჭოში ლენინ-სტალინის საქმისადმი თავდადებულ ადამიანებს, რომლებმაც ძლევამოსილი ოქტომბრის 20 წლის მანძილზე დაამტკიცეს კომუნისტურ პარტიისადმი, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი ერთგულება და სიყვარული.

ეს თარიღი სიამაყისა და აღფრთოვანების გრძნობას იწვევს თითოეულ პატიოსან საბჭოთა მოქალაქეში, პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკებში, მაგრამ ჩვენში კიდევ მოიპოვებიან თითო-ოროლა არამზადა, — საბჭოთა წყობილების ორგულნი, რომლებიც გველისებურად სისინებენ და უკანასკნელ შხამს ანთხევენ ამ ისტორიული თარიღის მოახლოვებასთან დაკავშირებით.

საბჭოთა წყობილების ორგულთა შორის უკანასკნელი ადგილი არ უჭირავთ ეკლესიის მსახურთ, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში უჩრევდნენ მშრომელებს, მოთმინებით აეტანათ მონობა, ყვლეფა, უუფლებობა და ყოველგვარი დამცირება „ია-ვარდით მოფენილ საიქიოს ცხოვრების იმედით". მაგრამ ძლევამოსილმა ოქტომბერმა სასიკვდილო ლახვარი ჩასცა რელიგიას. ათეიზმი ჩვენს ქვეყანაში გადაიქცა მასობრივ მოვლენად. მშრომელ მოსახლეობის დიდი ნაწილი დარწმუნდა რელიგიის უსაფუძვლობაში, მშრომელთა დიდმა უმრავლესობამ შეიგნო, რომ ეკლესია და მისი მსახურები არსებობდნენ მხოლოდ ხალხის გონების დასჩლუნგებლად, რომ რელიგიის სახით ისინი ოპიუმისებურად აბრუებდნენ მშრომელებს საეკლესიო გალობით და „ვედრებითა მღვთისათა", მაგრამ ჯერ კიდევ ვერ აღმოიფხვრა ყველას შეგნებიდან „სიყვარული" რელიგიისადმი, სამსახური მღვდელდიაკვნისადმი. მრავალი ფაქტი ნათელყოფს მთელ რიგ რაიონებში რელიგიისა და მის მსახურთა საქმიანობის გამოცოცხლებას. ამანვე ადასტურებს წელს ჩატარებული „მცხეთობა" და სხვა მრავალი რელიგიური სახის მოვლენები, რაც გვავალებს ანტირელიგიურ მუშაობის ფართოდ გაშლას.

მიუხედავად პარტიის არაერთი მითითებისა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც უმთავრესად ევალებათ მოსახლეობაში ათეიზმის დანერგვა, დაივიწყეს ანტირელიგიური ფრონტი. კიდევ მეტიც, — ზოგის აზრით, ვინაიდან სტალინური კონსტიტუციის მე-124 მუხლის თანახმად ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და აღიარებულია მოქალაქეთათვის სინდისის თავისუფლება, თითქოს აღარ იყოს საჭირო ანტირელიგიური მუშაობის წარმოება. სასტიკად უნდა შევებრძოლოთ ამ მცდარ და მავნე შეხედულებებს.

სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აგვისტოს გამოიტანა დადგენილება, რომელიც ავალებდა პროფორგანიზაციებს სისტემატურად მოეწყოთ საუბრები ანტირელიგიურ თემებზე, ყველგან ჩამოეყალიბებიათ მებრძოლ ურმერთოთა კავშირის უჯრედები და შეერჩიათ მათთვის მოსაუბრეთა და პროპაგანდისტთა აქტივი, კონკრეტული დახმარება აღმოეჩინათ მებრძოლ ურმერთოთა კავშირისათვის, გამოეცოცხლებიათ ანტირელიგიური მუშაობა კლუბებში, ქოხსამკითხველოებში და სხვ. მაგრამ ამ დადგენილების ცხოვრებაში მთლიანად გატარება დღემდე ვერ უზრუნველჰყო ყველა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ.

ამ მხრივ აღსანიშნავია უკანასკნელ ხანებში დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ გადადგმული ნაბიჯი: მან შეიმუშავა ანტირელიგიური მუშაობის კონკრეტული გეგმა, რომლის მიხედვით ყველგან უნდა ჩამოყალიბდეს და შემოწმდეს ურმერთოთა კავშირის უჯრედები, მასწავლებლის სახლებში მოეწყო ანტირელიგიური კუთხე, ჩამოყალიბდა მასწავლებელთათვის სემინარები, ტარდება ანტირელიგიური ლექციები და სხვ. მაგრამ ეს არ კმარა. ადგილობრივმა პროფორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გაშალონ ანტირელიგიური მუშაობა ც. კ. მითითებათა საფუძველზე, ხოლო ც. კომიტეტმა სისტემატურად უნდა შეამოწმოს და მოისმინოს ადგილებიდან მოხსენებანი ანტირელიგიური მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

დიდია მასწავლებლის როლი ანტირელიგიური მუშაობის დარგში. განსაკუთრებით ეს როლი ძლიერდება დღეს, როცა უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით თავისი მუშაობის გამოცოცხლებას აწარმოებენ რელიგიური კულტის მსახურნი, რომლებიც აქა-იქ კიდეც ამოძრავდნენ (დუშეთის, თელავის და სხვ. რაიონები). ისინი ყოველნაირად შეეცდებიან მოახდინონ მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებზე ზეგავლენა და ხელი შეუშალონ არჩევნების ნორმალურად ჩატარებას.

რელიგიურ პროვოკაციის საპასუხოდ მასწავლებლებმა, პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, კლუბებისა და ქოხსამკითხველოების გამგეებმა და პოლიტგანათლების ყველა მუშაკმა უნდა გაამახვილონ რევოლუციური სიფხიზლე და შეებრძოლონ რელიგიის მსახურთა ბნელ საქმიანობას ცოცხალი დამაჯერებელი ბოლშევიკური აგიტაციისა და პროპაგანდის საშუალებით. ანტირელიგიურ მუშაობას არ უნდა ჰქონდეს კამპანიური ხასიათი, ის უნდა მიმდინარეობდეს სისტემატურად და ეკრებოდეს თავის გარშემო სოფლისა და ქალაქის აქტივს.

ასეთია ამჟამად ერთ-ერთი მორიგი პოლიტიკური ამოცანა, რომელიც მებრძოლ ურმერთოთა კავშირის უჯრედებთან ერთად წარმატებით უნდა შეასრულონ მასწავლებლებმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

გრ. მანი.

მოკლე სიგნალები

ხელფასს აგვიანებენ

სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 9 აპრილის დადგენილებით მასწავლებელთა ხელფასის გაცემა სასოფლო ადგილებში უნდა ხდებოდეს თვის 20 რიცხვში, მაგრამ ეს ასე როდი ხდება ქედის რაიონში. აქ ხშირია შემთხვევა ხელფასის დაგვიანებისა, მაგ., სექტემბრის თვის ხელფასი დარიგდა 25-ში ხოლო ოქტომბრის თვის კი 26-ს არ იყო გაცემული. რაიფინგანი და განათლების განყოფილება ამ საქმეში უდარდელობას იჩენენ.

მ. ჩხაიძე

ცხმორისის (ქედის რ.) ა/ს საშ. სკოლის მასწავლებელი.

უპატრონო სკოლა

სოფ. ირგნეთის (გორის რ.) სკოლა ჯერ კიდევ ურემონტოდაა დარჩენილი. სკოლას სახურავი არ უვარგა, სკოლის კლასებში ისე წვიმს, როგორც გარეთ. არც ფანჯრები და კარები აქვს ხეირიანი.

ზამთარიც ახლოვდება. სკოლა კი არ არის მომარაგებული შეშით.

იციან თუ არა ეს გორის განათლების განყოფილების მუშაკებმა? იციან მაგრამ ნაკლებად იწუხებენ თავს ამ საქმისათვის.

ტ. ოჩიგავა

ლექტორი არ ჩანს

გორის სამასწავლებლო ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტის მეორე კურსზე სასწავლო პროგრამის თანახმად 1 სექტემბრიდან უნდა დაწყებულიყო საშუალო საუკუნეების ისტორიის კურსის წაკითხვა. მაგრამ დღემდე ამ საგნის ლექტორი არ ჩანს.

რატომ არ ზრუნავს ინსტიტუტის დირექცია ამ საკითხის მოგვარებაზე?

ა. მიქავა

ისტორიის სწავლებას მომზადებულად შეხვდნენ

სოხუმის მე-3 ქართული სკოლა (დირექტორი გრ. ცქვიტარია) თავიდანვე ენერგიულად შეუდგა ისტორიის სწავლებისათვის მზადებას. შეძენილ იქნა მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის ყველა ისტორიული ნაწარმოები და სხვა ლიტერატურა. მოეწყო ისტორიის კაბინეტი, რომლისთვისაც შეძენილია სხვადასხვა სახის რუკები, პლაკატები, სქემები, დიაგრამები, ისტორიული მნიშვნელობის სურათები (ბრძოლა ვატერლოოსთან, სისხლიანი კვირა, ზოგიერთი მომენტები პუგაჩოვის აჯანყებიდან, ნაპოლეონის ლაშქრობიდან რუსეთში 1812 წ. და სხვ.), აგრეთვე რუსეთის გამოჩენილ მოაზროვნეთა: ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, გერცენის და სხვ. სურათები.

პროფ. ა. შესტაკოვის რედაქციით გამოცემულ ისტორიის სახელმძღვანელოთი მაღალხარისხოვნად სწავლების მიზნით სკოლამ ქ. თბილისში ისტორიის მასწავლებელთა რესპუბლიკურ მოკლევადიან კურსებზე მიავლინა ისტორიის მასწავლებელი ამხ. შონია. მან 28 სექტემბერს დაამთავრა კურსები და ამჟამად სოხუმში თვითონ ატარებს ისტორიის მასწავლებელთა შორის კონსულტაციებს.

სოხუმის მე-3 ქართული სკოლა ისტორიის სწავლებას მომზადებული შეხვდა, მაგრამ ამჟამად საქმეს აბრკოლებს ის გარემოება, რომ მთელ სკოლაში პროფ. შესტაკოვის ისტორიის სახელმძღვანელო მხოლოდ 3 მოწაფეს აქვს, დანარჩენი მოწაფეები კი სახელმძღვანელოს მოკლებულნი არიან.

საჭიროა, საქ. სახელგამმა დააჩქაროს ამ სახელმძღვანელოს დროულად დაგზავნა ადგილებზე.

ი. ნ—ლი

თბილისი. სახალხო სიმღერისა და ცეკვის სრულიად საქართველოს ოლიმპიადა.

8 ნოემბერს ოპერის თეატრის დარბაზში გაიხსნა სახალხო სიმღერისა და ცეკვის სრულიად საქართველოს ოლიმპიადა. ოლიმპიადაზე გამოვიდნენ აშუღები, ანსამბლები, გუნდები და მოცეკვავენი

სურათზე: მცირეწლოვანი შურა გაბრიელოვა, ოლიმპიადის მონაწილე, ცეკვა „ბაღდათურის" შემსრულებელი.

ფოტო სტოლიაროვისა და დავიდოვისა „სოიუზფოტოს" საქ. განყ.

○

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

გავწმინდოთ სკოლები უცხო ელემენტებისაგან

ჩვენი გაზეთის რედაქციაში შემოვიდა წერილი სათაურით. „გავწმინდოთ სკოლები უცხო ელემენტებისაგან". წერილი შეეხებოდა სოფ. კოდის (ალბულაღის რ-ნი) ა/ს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის შალვა ჩხენკელის აშკარა მავნებლურ საქმიანობას სკოლაში.

წერილი შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქ. კ. პ. (ბ) ალბულაღის რაიკომს. რაიკომი თავის პასუხში გვაცნობებს, რომ „წერილში აღნიშნული ფაქტები, რომელიც ჩხენკელს შეეხება, სინამდვილეს შეეფერება. ამ ფაქტების საფუძველზე ჩხენკელი მოხსნილია თანამდებობიდან და გარიცხულია ა.ლ.კ.კ. წევრთა რიგებიდან".

პატარა ფელეტონი

„იმიტომ რომ"...

რაც არ უნდა გერწმუნებიათ ბორჯომის ამხ. ფ. მახარაძის საბავშვო სახლის გამგე ცინცაძე, რომ სახლის ქონება მთლიანად უნდა მოხმარდეს ბავშვთა აღზრდას და კვებას, ის მაინც თავისას გაიძახოდა:

— ეს ყველაფერი მართალია! — მაგრამ ჯერ ჩვენ გავჩნდით და შემდეგ ბავშვები: ჯერ ჩვენ უნდა ვიგემოთ სიტკბოება ამა სანეტარო ცხოვრებისა და შემდეგ, თუ რამ გადარჩა სუფრასა ჩვენსა, ბავშვებსაც უნდა ვაკუთვნოთ „ნამუსრი სუფრისა".

ასეთი იყო ლოღიკა და ზრახვანი „აღმზრდელისა" ცინცაძისა. ამ „ბრძნული" მოსაზრებიდან გამოდიოდა ის, როცა „უპლანტენიე" უყო აღსაზრდელებს და ერთის მაგიერ ორი ჩააწვინა ერთ ლოგინში. ამიტომ იყო, რომ მან ბავშვებისათვის მოსული ფართალი ძმაბიჭურად გაუნაწილა აწ უკვე გამომჟღავნებულ ხალხის მტრებს... ამიტომ იყო, რომ ამ „კეთილმა" კაცმა სახლის საუკეთესო ოთახებში მოათავსა თანამშრომლები...

მაგრამ არ იფიქროთ, რომ ცინცაძეს სახლის ყველა თანამშრომელი თანაბრად უყვარდა: ზოგისთვის თუ ოთახებს კი არა, სულსაც არ ზოგავდა, ზოგისთვის კუთვნილი ხელფასის მიცემაც კი ენანებოდა.

— ქმარმა მიმატოვა ძუძუმწოვარი ბავშვის ამარა, მომეცით კუთვნილი ხელფასი! არაერთხელ მიმართა მას ამ სახლის თანამშრომელმა თვალცრემლიანმა ქ. კვინიკაძემ; მაგრამ ამაოდ—ცრემლმა ქალისამა ვერ მოალბო ქვაგულოვანი ცინცაძე.

— მოთმინებითა შენითა მოიპოვებ ხელფასსა შენსაო! — ანუგეშებდა ხელფასის მაძიებელ ქალს ცინცაძე.

ბავშვთა აღზრდისათვის კი მას ჰქონდა თავისი საკუთარი მეთოდი, გამომუშავებული ჟამსა „ყოვლადშემძლე" ბახუსისა ხმისასა. ამიტომ იყო, რომ ცინცაძე არაერთხელ უნახავთ აღსაზრდელებს ღვინით ძალზე შეზარხოშებული.

— ცემა გმართებს აღმზრდელისა, რა ყმა ნახო ცუდად ზრდილიო! იმეორებდა ამავე დროს აღმზრდელი ცინცაძე.

მისი შიში არ გამოდგა სულ უსაფუძვლო: ცემით არავის უცემია მისთვის, მაგრამ მოხსნეს კი თანამდებობიდან.

ამ გარემოებას დიდად არ დაუღონებია ცინცაძე.

— თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენებიო! — იმეორებდა ის ხშირად უკვდავ შოთას აფორიზმს.

რა თქმა უნდა, ცინცაძეს საკუთარი თავის იმედი იმდენად არასოდეს არ ჰქონია, რამდენადაც ძმა-ბიჭებისა.

არც მოსტყუვდა: ეს მოხსნილი კაცი ზორბად დააწინაურეს.

არ გჯერათ? აბა ნუ დაიზარებთ და აბრძანდით კოჯორში, სადაც იხილავთ მას საბავშვო სახლის გამგის სავარძელსა ზედა მოკალათებულს.

— ჯერ კიდევ დიდ არს განგებანი „ძმაბიჭობისა" და „ქალბატონი პროტექციისა". მოკალათებულ განსახკომსა შინა, — იტყვით თქვენ, და პირს იბრუნებთ განსახკომისაკენ, საიდანაც ჩვენც ველით პასუხს საქმეზე ცინცაძის დაწინაურებისა.

გრი.

○

მოითხოვენ მომხსენებლებს

წულუკიძის რაიონში ფართოდ გაიშალა მზადება შოთა რუსთაველის დაბადებიდან 750 წლის აღმნიშვნელი იუბილესათვის.

რაიონის ყველა სკოლაში ჩამოყალიბებულია წრეები, სადაც სწავლობენ „ვეფხის ტყაოსანს". განსაკუთრებით ენერგიულად ემზადება დიდი იუბილესათვის მათხოჯის საშუალო სკოლა, რომელთანაც არსებული ლიტერატურული წრის წევრები მოსახლეობას აცნობენ „ვეფხის ტყაოსნის" შინაარსს.

მათხოჯის, ნახახულევის, კინჩხის, ქორდის, კუხის და გუბის კოლმეურნეობებთან ჩამოყალიბდა „ვეფხის ტყაოსნის" შემსწავლელი წრეები; კოლმეურნეები იძენენ „ვეფხის ტყაოსანს", რომელსაც დიდი ინტერესით სწავლობენ. რაიონის მშრომელი მოსახლეობა მოითხოვს, რომ მწერალთა კავშირმა გამოგზავნოს კვალიფიციური მომხსენებელი შოთა რუსთაველისა და „ვეფხის ტყაოსნის" შესახებ.

ე. ბადირეიშვილი

თბილისის მასწავლებელთა აქტივის თათბირი

ა/წ. 19 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, მე-43 სკოლაში (ენგელსის, 50) შესდგება თბილისის სკოლების მასწავლებელთა აქტივის თათბირი მიმდინარე სასწავლო წლის პირველი მეოთხედის შედეგებისა და მომავალი მუშაობის ამოცანების შესახებ.

მომხსენებელი თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების გამგე ამხ. ა. მ. გიორგაძე.

ასტრონომიის სწავლების შესახებ

მიმდინარე წელს საშუალო სკოლის სასწავლო გეგმაში შეტანილია ასტრონომიის საათები. მაგრამ განსახკომს ჯერაც არ მოუცია ამ საგნის პროგრამა, არ მიუთითებია სახელმძღვანელოზე. მართალია, მასწავლებელმა თავისი საგანი უნდა იცოდეს, მაგრამ პროგრამისა და სახელმძღვანელოს უქონლობა მაინც დიდ არევდარევას იწვევს.

აი, რამდენიმე ჩვენი მოსაზრება ასტრონომიის პროგრამის შესახებ.

ასტრონომიას კვირაში დათმობილი აქვს ერთი საათი. ეს დრო სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ საშუალო სკოლის უკანასკნელი კლასის მოსწავლეები ზოგადად მაინც გაეცნონ ასტრონომიის ძირითად საკითხებს. ჩვენი აზრით, ასტრონომიის სწავლებაში განსაკუთრებული ყურადღებით უნდა შევჩერდეთ შემდეგ საკითხებზე:

ა. ციური მექანიკის ძირითადი საკითხების დამუშავება. აქ მოსწავლეები აღრმავებენ ფიზიკიდან მიღებულ ცოდნას და ნიუტონის მექანიკის შედარებით ღრმა დაუფლებით ეცნობიან სამყაროს სხეულთა ძრაობის კანონებს.

ბ. ასტროფიზიკის ელემენტარული საკითხების დამუშავება, რომელიც უეჭველად უნდა დაუკავშირდეს ფიზიკაში სპექტრალური ანალიზის შესწავლას.

გ. ცნება სამყაროს უსასრულობის შესახებ, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა წარმოადგენდეს სივრცისა და დროის უსასრულობის გაცნობა-განზოგადებას.

დ. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ასტრონომიის სწავლებაში ისტორიულობა. კერძოდ ნ. კოპერნიკის ჰელიოცენტრული სისტემის შესწავლისას მოსწავლეები უნდა გავაცნოთ, თუ როგორი სასტიკი ბრძოლა განიცადა ამ მოძღვრებამ საშუალო საუკუნეებში კათოლიკური ეკლესიისაგან, თუ როგორ დასწვა კოცონზე ინკვიზიციამ ჯორდანო ბრუნო და სხვ.

ე. ასტრონომიის სწავლების დროს მოსწავლეები უნდა გაეცნონ სამყაროს აგებულობის კოსმოგონიურ ჰიპოტეზებს, რომ ამით შესაძლებელი გახდეს მათში ათეისტური მსოფლმხედველობის გამომუშავება, რომ მეცნიერული მონაცემების საფუძველზე მეცნიერული ცოდნით გაჟღენთილმა ახალგაზრდობამ მოიმარჯვოს ეს იარაღი ჯერ კიდევ დარჩენილი რელიგიური ნაშთების აღმოსაფხვრელად.

ასტრონომიის პროგრამისა და სახელმძღვანელოს საკითხი დაუყოვნებლივ უნდა მოგვარდეს.

ზ. გახარია

გამოხმაურება

„გულქვა მშობლები"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის ა/წ 18 ოქტომბრის № 97 მოთავსდა ამხ. დ. გურჯიძის მამხილებელი წერილი, რომელიც შეეხებოდა მშობლებისაგან უპატრონოდ მიტოვებულ მე-5 კლასის მოწაფის დავით კირკიტაძის (სოფ. ზედასაზანო. ჩხარის რ.) მეტად უნუგეშო მდგომარეობას. წერილის გამოქვეყნების შემდეგ ჩხარის რაიპროკურორი გვატყობინებს, რომ საკითხი ყოველმხრივ მოგვარებულია და ბავშვი დაკმაყოფილებულია სახელმწიფო მზრუნველობით.

ბიბლიოგრაფია

ვ. ჭანიშვილი

ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლის IV კლასისათვის 1937 წ. გამოცემა ავტორები: შ. თაბუკაშვილი, ო. შარაბიძე

სარეცენზიო სახელმძღვანელო უფრო შინაარსიანია, ვიდრე გასული წლის გამოცემა, და ამ სახით ის უფრო მეტად ამართლებს თავის დანიშნულებას. კერძოდ გაზრდილია ხალხური ზეპირსიტყვიერების განყოფილება, რაც სავსებით მიზანშეწონილია. საბა-სულხან ორბელიანისა და დ. გურამიშვილის შემოქმედების ნიმუშების შეტანა სახელმძღვანელოში უდაოდ კარგია, ხოლო არაფერს ვნებს წიგნს იმ ზოგიერთი მასალის გამოკლება, რომელიც გასულ წელს იყო მოთავსებული.

მიზანშეწონილია დიდი რუსი კლასიკოსის პუშკინის პოეზიის ნიმუშების მოთავსება სახელმძღვანელოში, მაგრამ ნუთუ არ შეიძლებოდა პუშკინის უფრო შესაფერი ლექსის შერჩევა, ვიდრე არის მისი „დამხრჩვალი"?

დაწყებითი სკოლის IV კლასში პირველად ეცნობიან მოწაფეები ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. ამიტომ არ კმარა ამ დარგიდან რამდენიმე ლექსის და პროზის მხოლოდ ერთი ნიმუშის მოცემა. საჭიროა ამას დაემატოს 4-5 ანდაზა, გამოცანა და ერთი „ნამდვილი" ზღაპარი ჩვენი მდიდარი ფოლკლორიდან, „ორი ქოსატყუილა" მაინცდამაინც ვერაფერი ნიმუშია.

დიდი კლასიკოსი ჭავჭავაძე წინა გამოცემაში წარმოდგენილი იყო ორი ნაწყვეტით: „თათქარიძეები" („კაცია ადამიანიდან") და ნაწყვეტი „კაკო ყაჩაღიდან". ახალ გამოცემაში კი მოთავსებულია ი. ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი" და ლექსი „გაზაფხული". ეს არ კმარა.

ვერ დავეთანხმებით ავტორებს „თათქარიძეების" ამოღებაში. ეს მეტად მოხდენილად ამოღებული ადგილი იყო „კაცია ადამიანიდან". მოწაფეები დიდი ხალისით სწავლობენ ამ ნაწყვეტს. რა თქმა უნდა, ნაწყვეტები ხშირად ვერ იძლევიან მთლიან შთაბეჭდილებას. თუ ამ მოტივით ამოიღეს „თათქარიძეები", მაშინ ნაწყვეტება სხვაც რომ ბევრია წიგნში (დ. ჭონქაძე, ა. ყაზბეგი, ი. ევდოშვილი, მ. გორკი, ვ. ჰიუგო და სხვ.)?

რ. ერისთავი წარმოდგენილია სამი ლექსით: „გაზაფხული", „რთველი" და „სურათი". ვერ ვეთანხმებით ავტორებს რ. ერისთავის ამ სახით წარმოდგენაში. მართალია, IV კლასში არ „სწავლობენ" მწერალს, არამედ, ასე ვთქვათ, „ეცნობიან", მაგრამ მწერალი მაინც უნდა იყოს მოცემული თავისი დამახასიათებელი თემით. რ. ერისთავი მეფისა და მემამულის მძიმე უღელქვეშ მყოფი გლეხობის ტკივილების თვალსაჩინო ამსახველია ჩვენში. აქ მოთავსებული ლექსებიკი არ გადმოგვცემს ამას, კერძოდ „სურათი" უფრო გლეხის ყოფა-ცხოვრების იდილიაა, ვიდრე მისი ტკაკილების ამსახველი.

კარგადაა შედგენილი მწერალთა ბიოგრაფიები. მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ ზოგიერთი თითქოს წვრილმანი, რის უგულებელყოფა, ალბათ, უყურადღებობის ბრალია: მაგ., შ. არაგვისპირელის ნამდვილი გვარი არაა აღნიშნული ბიოგრაფიაში. წიგნში წარმოდგენილია აგრეთვე ისეთი მწერლები (გ. ქუჩიშვილი, დ. თურდოსპირელი, მარიჯან და სხვ.), რომელთა ბიოგრაფიები მასში არაა მოთავსებული. ეს დასაშვებია, მაგრამ ქუჩიშვილი, თურდოსპირელი, მარიჯან—ეს ხომ ფსევდონიმებია, რასაც ახსნა უნდა. რატომ შევჩერდით ამ წვრილმანზე? ჩვენში ბევრი იქნება ისეთი მასწავლებელი, რომელიც ვერ იტყვის: ვინ წერს მარიჯანის ან თურდოსპირელის ფსევდონიმით.

სახელმძღვანელოში ბევრია კორექტურული შეცდომა, ასოების, სასვენი ნიშნების, და მთელი სტრიქონის დაკლებაც კი. მაგ., „კაკო ყაჩაღში" „მეურმის" მაგიერ სწერია „მეურნე". ყველაზე მეტად დაზარალებულია შ. მღვიმელის ლექსი „შემოდგომა", რომელსაც მთელი სტრიქონი აკლია (გვ. 143).

ჩვენს ავტორებს გამოუყენებიათ ბრაილოვსკაიას და რიბნიკოვას „ლიტერატურის ქრესტომათია" ნაწ. 2, დაწყებითი სკოლის IV კლასისათვის, 1933 წ. და 1935 წ. გამოც. აქ არაფერია საძრახისი: მივბაძოთ სხვას, დადებითი გადმოვიტანოთ.

რუსი ავტორები სახელმძღვანელოში ათავსებენ ვ. ჰიუგოს მოკლე ბიოგრაფიას და ნაწყვეტს „გავროში" და აგრეთვე მ. გორკის ბიოგრაფიას და ნაწყვეტს „პირველი მაისი" („დედა"). ქართულ სახელმძღვანელოშიც ასეა. ეს კარგია, ჩვენი ბავშვებიც უნდა გაეცნონ განთქმულ მწერალთა ნაწარმოებებს.

ქრესტომათიის შემდგენლებს ნაწყვეტებთან ერთად უთარგმნიათ მათი ავტორების ბიოგრაფიებიც. ეს, ასე ვთქვათ, ნაწყვეტების თარგმნას მიაყოლეს. ავტორები კი არ მოიხსენიეს. მეტიც: ის კითხვებიც მიუწერეს, რასაც რუსი ავტორები იძლევიან (ესეც თარგმნეს!).

ეს არაა საკადრისი საქციელი — საჭიროა მეტი ლიტერატურული ეთიკა!

სარედაქციო კოლეგია

რედაქციის მისამართი: თბილისი, ფურცელაძის ქუჩა, № 3, ტელეფონის № 3—67—47.

ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", ვამოს ქ. 68.

მთავლიტის რწმუნებული ა—16586